საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-150

01/03/2022

ქ. თბილისი

შპს „ნემერაზე“ ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2022 წლის 28 იანვარს სამინისტროს მომართა შპს „ნემერამ“ და ითხოვა 30 ტონა ოზონდამშლელი ნივთიერების - ქლორდიფტორმეთანის (CHF2Cl, HCFC-22) იმპორტის ნებართვის მიღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2022 წელს აღნიშნული ნივთიერების იმპორტის მოთხოვნის ჯამურმა რაოდენობამ (46 ტონა და 600 კილოგრამი) გადააჭარბა „ოზონდამშლელი ნივთიერებების 2022 წლის წლიური საიმპორტო კვოტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №2-1731 ბრძანებით დადგენილ წლიურ კვოტას (40 ტ). შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული საიმპორტო კვოტის განაწილების წესის მიხედვით, შპს „ნემერაზე“ შესაძლებელია გაიცეს წლიური იმპორტის ნებართვა ოდენობით 23 ტონა და 400 კილოგრამი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (#000025) შპს „ნემერაზე“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) 23 ტონა და 400 კილოგრამი ოზონდამშლელი ნივთიერების - ქლორდიფტორმეთანის (CHF2Cl, HCFC-22) იმპორტისთვის;
2. ნებართვა ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრამდე;
3. შპს „ნემერამ“ უზრუნველყოს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნემერას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი